უწმინდესი პატრიარქი კირილე: მივესალმებით ნებისმიერ საშუამავლო მისიას, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინაში ტრაგიკული კონფლიქტის დაძლევას და სამართლიანი მშვიდობის რაც შეიძლება სწრაფად დამყარებას

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 29.06.2023. 29 ივნისს დანილოვის მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე იტალიის კათოლიკ ეპისკოპოსთა კონფერენციის თავმჯდომარეს, კარდინალ მათეო ძუპს შეხვდა, რომელიც რუსეთში სპეციალური სამშვიდობო მისიით ჩავიდა რომის პაპ ფრანცისკეს დავალებით.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ; მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველმა დეკანოზმა ნიკოლოზ ბალაშოვმა; სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილემ

არქიმანდრიტმა ფილარეტმა (ბულეკოვი).

კარდინალ მათეო ძუპს თან ახლდნენ: სამოციქულო ნუნციია რუსეთის ფედერაციაში კარდინალი ჯოვანი დ'ანიელო, სამოციქულო ნუნციატურის მრჩეველი რუსეთის ფედერაციაში მონსენიორი პეტრე ტარნავსკი, ვატიკანის სახელმწიფო სამდივნოს თანამშრომელი მონსენიორი პაულ ბუტნარუ, წმინდა ეგიდიოსის თემის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი ადრიანო როკუჩი.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი გულითადად მიესალმა მაღალ სტუმარს და, კერძოდ, აღნიშნა: „იმ დროს, როცა ძალიან დიდი პრობლემები წარმოიშვა რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებში, როდესაც ჩვენ ვაწყდებით როგორც პოლიტიკური ურთიერთობების სფეროში დიდ დაძაბულობას, ასევე მსხვილი მსოფლიო შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის რეალურ საფრთხეს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ძალა, რომელიც დაინტერესებულია მშვიდობისა და სამართლიანობის შენარჩუნებით, გაერთიანდეს მოვლენების ასეთი შესაძლო განვითარების თავიდან ასაცილებლად“.

ამავე დროს, უწმინდესმა აღნიშნა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას აქვთ ურთიერთობის გამოცდილება, მათ შორის ძალიან არახელსაყრელი პოლიტიკური კლიმატის ფონზე: „ცივი ომის პირობებში ჩვენს ეკლესიებს ჰქონდათ რეგულარული და ურთიერთსასარგებლო კონტაქტები, რომელთა კონტექსტშიც განიხილებოდა, კერძოდ, საკითხები, რომლებიც ჩვენს ხალხებს აწუხებდა“. ამასთან დაკავშირებით უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ გაიხსენა წმინდა ეგიდიოსის თემის დადებითი როლი „ცივი ომის“ მძიმე ვითარებაში, რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი პერიოდი მოიცვა: იმ მდროს ის აქტიურ კავშირებს ინარჩუნებდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

„ვფიქრობ, დღევანდელ პირობებშიც, რომელიც ასევე მრავალი რისკისა და საფრთხის შემცველია, ეკლესიებს შეუძლიათ ერთობლივი ძალისხმევით აღკვეთონ პოლიტიკური გარემოებების ნეგატიური განვითარება და ემსახურონ მშვიდობისა და სამართლიანობის საქმეს“, - გამოთქვა იმედი უწმინდესმა მეუფემ.

თავის მხრივ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს კარდინალმა მათეო ძუპმა რომის პაპ ფრანცისკეს მისალმება გადასცა.

„ცივი ომის“ დროს დიალოგის ინტენსივობის ხსენებისას, სტუმარმა აღნიშნა, რომ არსებულ რთულ ვითარებაში დიალოგი არ უნდა შეჩერდეს, პირიქით, უფრო ინტენსიური უნდა გახდეს. „როგორც ქრისტიანები, ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ იმის გაგებაში, თუ როგორ მოვიქცეთ, – დარწმუნებულია კარდინალი მათეო ძუპი. – ამ დროის ობიექტური სირთულეების წინაშე ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ რა მოქმედებებს ითხოვს ჩვენგან უფალი, და დღეს ჩვენ ძალიან მოხარულები ვართ, რომ შეგვიძლია თქვენი მოსმენა და არსებული საკითხების მოგვარებაზე საუბარი“.

უწმიდესმა პატრიარქმა კირილემ სოლიდარობა გამოუცხადა იმ აზრს, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობაში განსაკუთრებული დაძაბულობა წარმოიშობა, ეკლესიები გვერდზე არ უნდა გადგნენ, არამედ მონაწილეობა მიიღონ შერიგების, განვითარებისა და უფრო მყარი ურთიერთობების დამყარების საქმეში და, რაც მთავარია, ურთიერთგაგების მიღწევაში. „თუ ქვეყნებსა და ხალხებს ერთმანეთის ესმით, მაშინ რეალური პოლიტიკა შენდება ქვეყნების და ხალხების ინტერესების გათვალისწინებით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ რთულ პერიოდში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულმა თემებმა მიიღონ მონაწილეობენ შერიგების პროცესში“, – აღნიშნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა.

„უკრაინაში არსებული მდგომარეობა პირადად ჩემთვის ძალიან მტკივნეულია“, – განაცხადა მან. – მე ვმართავ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლის სამწყსო ცხოვრობს როგორც რუსეთში, ისე უკრაინაში და სხვა ქვეყნებში. ამიტომ უკრაინელი და რუსი ხალხების ტანჯვა ღრმა ჭრილობას აყენებს ჩემს გულს. სწორედ ამიტომ, 2014 წლიდან ჩვენს ყველა ტაძარში აღვავლენთ განსაკუთრებულ ლოცვებს უკრაინაში მშვიდობისათვის. ჩვენ ვიყენებთ და გამოვიყენებთ ყველა საშუალებას, რომ ეს საშინელი კონფლიქტი რაც შეიძლება მალე დასრულდეს, რომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი იყოს“.

შექმნილ ვითარებაში თანამოსაუბრეებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნიეს კონცენტრირება ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებაზე.

გარდა ამისა, უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ პაპ ფრანცისკეს მაღალ წარმომადგენელს ინფორმაცია მიაწოდა უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოების, სასულიერო პირებისა და მრევლის მიმართ განხორციელებული დევნის შესახებ.

მხარეები შეთანხმდნენ შემდგომი კონტაქტების შენარჩუნებაზე.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა ერთმანეთში სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90496/